წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის
ო ქ მ ი №22

ქ. თბილისი *23.10.09 წ.*

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.
2. უნივერსიტეტის ცალკეული უძრავ-მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
3. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ" აკადემიური საბჭოს 29.09.2009 წლის №291 დადგენილების დამტკიცება.
4. "აკადემიური საბჭოს 2009 წლის №21 იანვრის №170 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 19.10.2009 წლის №293 დადგენილების დამტკიცება.
5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანების არჩევის წესის დამტკიცება.
6. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდა:

წარმომადგენლობითი საბჭო – 19 წევრით

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბედია, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ბურდული, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

კენჭისყრის შედეგი:
კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 19
მომხრე – 19;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს დამანა მელიქიშვილს, ამირან ბიბილაშვილს, ზურაბ ჯაშს, ირაკლი გაჩეჩელაძეს, ილია მესხიშვილს და ნინო ლომოურს უნდა შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტატუსი "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის გამომდინარე, ვინაიდან პროფესორისა და სტუდენტისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ქალბატონ დამანა მელიქიშვილს მიენიჭა ემერიტუსის სტატუსი, ბ-ნ ამირან ბიბილეიშვილს ამოეწურა შრომითი ხელშეკრულების ვადა, ხოლო ზურაბ ჯაშს, ირაკლი გაჩეჩელაძეს, ილია მესხიშვილს და ნინო ლომოურს შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა -19
მომხრე – 19;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

შეუწყდეთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს დამანა მელიქიშვილს, ამირან ბიბილაშვილს, ზურაბ ჯაშს, ირაკლი გაჩეჩელაძეს, ილია მესხიშვილს და ნინო ლომოურს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.

2. სენატის სპიკერმა დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს რომან ხარბედიას, რომელმაც აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას, შემდეგი უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად:

ა. სასწავლო კორპუსი II:
- ფოიე – ბანკომატის განსათავსებლად 3 წლის ვადით, საწყისი ფასი 1 კვ.მ. არანაკლებ 3000 ლარი;

- 55 კვ.მ. ფართზე – ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის განსათავსებლად - საწყისი ფასი 1 კვ.მ. არანაკლებ 10 ლარი და 50 თეთრი.

ბ. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა – უნივერსიტეტის ქუჩა №2 ჯამში 30 კვ.მ.:

-წიგნების, პრესისა და საკანცელარიო ნივთების რეალიზებისათვის (ფოიე), 3 წლის ვადით, საწყისი ფასი 1 კვ.მ. არანაკლებ 12 ლარი, მე-2 სართული არანაკლებ 13 ლარი და 50 თეთრი;

- ასლგადამღები აპარატის განსათავსებლად (ფოიე) 3 წლის ვადით, საწყისი ფასი 1 კვ.მ. არანაკლებ 35 ლარი, მე-2 სართული არანაკლებ 31 ლარი და 50 თეთრი;

- სწრაფი გადახდის ავტომატის განსათავსებლად 3 წლის ვადით საწყისი 1 კვ.მ. არანაკლებ 1500 ლარი.

-ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა – ზანდუკელის ქ. №16 დაახლოებით 40 კვ.მ. კვების ობიექტის მოსაწყობად საწყისი ფასი 1 კვ.მ. არანაკლებ 15 ლარი.

– გარდა აღნიშნულისა გაცნობებთ, რომ სსიპ "სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის" დირექციამ 08.09.2009 წლის №17856/02 წერილით ითხოვა ნებართვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების კომისიის შემოწმების 02.09.2008 წლის ოქმზე (იხ. დანართი) თანდართულ ნუსხაში ნაჩვენები ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დროებით გადაცემაზე. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების 02.09.2008 წელს შექმნილი კომისიური შემოწმების შედეგად, კომისიამ დაადასტურა, რომ ინსიტუტის მიერ მოთხოვნილი ხელსაწყოები არ წარმოადგენს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის საჭიროებას და აღნიშნული ინსტიტუტისათვის შესაძლებლად მიაჩნია დროებით სარგებლობაში მათი გადაცემა. ამასთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინიტრო თვლის, რომ აღნიშნულის გადაწყვეტა უნივერსიტეტის

კომპეტენციაა, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ითხოვს თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს პოზიციას აღნიშნულ საკითხზე.

გაცნობებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც უზუფრუქტუარის, სარგებლობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართებისა და მიწის ნაკვეთების საკონკურსო საბაზრო საწყისი საიჯარო ქირა განსაზღვრულია ლიცენზირებული შპს აუდიტური ფირმა "ათოსი"-ის მიერ.

აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: შოთა სამსონია, ნუგზარ თოდუამ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 19

მომხრე – 19;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტის ცალკეული ფართების (უძრავი) და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს 29.09.2009 წლის №291 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ".

სიტყვა გადაეცა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს ირაკლი ბურდულს, რომელმაც ისაუბრა დადგენილების დამტკიცების მიზანშეწონილობაზე, რექტორის სამუშაო რეჟიმიდან და დატვირთვიდან და ზოგადად საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული წესი გავრცელდეს ასევე ფაკულტეტის დეკანებზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია კონკრეტული დადგენილება, გადაწყდა, რომ კენჭი ეყაროს მხოლოდ ამ დადგენილებას.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა -19
მომხრე – 19;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს 29.09.2009 წლის №291 დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ".

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა "აკადემიური საბჭოს 2009 წლის №21 იანვრის №170 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 19.10.2009 წლის №293 დადგენილება, რომლითაც შეტანილი იქნა ცვლილება აკადემიური საბჭოს 2009 წლის 21 იანვრის №170

დადგენილებაში "ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის – სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენის შესახებ".

სიტყვა გადაეცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოვალეობის შემსრულებელს ელენე ხარაბაძეს, რომელმაც ისაუბრა განხორციელებულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ კატეგორია "ა" აერთიანებს სრულ პროფესორებს, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულო 16 საათიან (8 საათიან სააუდიტორიო, 8 საათიან საკონსულტაციო) ყოველკვირეულ დატვირთვას. ასოცირებულ პროფესორებს, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულო 24 საათიან (12 საათიან სააუდიტორიო, 12 საათიან საკონსულტაციო) ყოველკვირეულ დატვირთვას. ასისტენტ პროფესორებს, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებთ გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულო 26 საათიან (14 საათიან სააუდიტორიო, 12 საათიან საკონსულტაციო) ყოველკვირეულ დათვირთვას. სრული პროფესორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში 2600 ლარის ოდენობით, ასოცირებული პროფესორის თვეში 1900 ლარის ოდენობით, ასისტენტ-პროფესორის თვეში 1100 ლარის ოდენობით.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 19

მომხრე – 16;
წინააღმდეგი – 2;
თავი შეიკავა – 1;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "აკადემიური საბჭოს 2009 წლის №21 იანვრის №170 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 19.10.2009 წლის №293 დადგენილება.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 19.10.2009 წლის №295 დადგენილება დასამტკიცებლად.

აღინიშნა, რომ ხელახალი განხილვისათვის წარმოდგენილია დეკანების არჩევის წესი. აზრი გამოთქვეს: ლელა ბენიძემ, დიმიტრი გეგენავამ. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გიორგი გოგსაძემ დასვა საკითხი, თუ რამდენად ექნება დეკანს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება, როცა წინამდებარე წესი ადმინისტრაციულ პერსონალს აღნიშ ნულს უკრძალავს. დიმიტრი გეგენავას პასუხით დეკანიც ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც კანდიდატი და მას აქვს ამის უფლება.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 19

მომხრე – 19;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 19.10.2009 წლის №295 დადგენილება.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა კობა გელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სენატმა დააფიქსიროს თავისი პოზიცია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია მეორის შეურაცხმყოფელი განცხადებების მიმართ.

სენატის წევრის ცირა ბარამიძის აზრით უნდა შემუშავდეს სპეციალური მიმართვა ამ საკითხზე, რომელზეც ხელს მოაწერენ, როგორც მიმართვის მხარდამჭერი სენატის წევრები, ისე უნივერსიტეტის სხვა პროფესორები და სტუდენტები. ეს მოსაზრება ერთხმად იქნა გაზიარებული.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — თამარ შოთაძე

დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით

(სხდომა №22, 23.10.2009წ.)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

კანცელარია
Chancellery

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფაკულტეტის დეკანების არჩევის წესი

მუხლი 1. არჩევნების გამოცხადება

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანები აირჩევიან გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპის დაცვით ოთხი წლის ვადით.
2. ფაკულტეტის დეკანს თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.
3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
4. ფაკულტეტის საბჭოს განცხადება უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
5. კანდიდატების რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა მიმდინარეობს 2 კვირის განმავლობაში.
6. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 3 კვირის და არუმეტეს 1 თვის ვადაში.
7. არჩევნების თარიღს ნიშნავს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატის (კანდიდატთა) რეგისტრაციაში გატარებისათვის აუცილებელი ვადის დასრულებიდან 1 კვირის განმავლობაში.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია (შემდეგში "უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია").

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
3. ფაკულტეტების საარჩევნო კომისიებს ქმნის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. ფაკულტეტების საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედის არანაკლებ 5 წევრისა.
5. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული პერსონალის წევრი, აგრეთვე ფაკულტეტის დეკანის წევრობის კანდიდატი.

მუხლი 3. კანდიდატთა რეგისტრაცია

1. დეკანობის კანდიდატი შეიძლება იყოს სრული ან ასოცირებული პროფესორი.
2. კანდიდატმა ასევე უნდა წარადგინოს ავტობიოგრაფია, ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს განცხადებაში მითითებული დოკუმენტაცია.
3. ფაკულტეტის დეკანის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განაცხადების მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში.
4. განცხადების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა 2 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
5. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, რეგისტრაციისთვის განცხადების შეტანის ვადის დასრულებიდან 1 კვირის განმავლობაში.
6. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

მუხლი 4. არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი

1. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
2. არჩევნების დღეს იკრძალება წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს;
4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური საგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

მუხლი 5. საარჩევნო სიები

საარჩევნო სიებს ამტკიცებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია პერსონალის მართვის დეპარტამენტის, სასწავლო დეპარტანმენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 6. არჩევნების პროცედურა
1. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს 10.00 საათზე და მთავრდება 17.00 საათზე.
2. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
3. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
4. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
ა) ფაკულტეტის დასახელება
ბ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი
5. საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველზე გაიცემა, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. სარჩევნო ბიულეტენზე ხელს აწერს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი.
6. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ხმის მიცემა ხორციელდება სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. ხმის მიცემა ხორციელდება 1 სასურველი კანდიდატურის შემოხაზვით. საარჩევნო კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 7. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ არჩევნებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. იურიდიული პირები არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებენ თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა უნდა მიეთითოს დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.
3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
ა) ასარჩევი კანდიდატი
ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი
გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ის ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.
4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.
5. დამკვირვებელი ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

6. საარჩევნო კომისიები ვალდებულია ხელი არ შეუშალოს დამკვირვებელს.

მუხლი 8. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით დადგენილი წესით დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიების წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:
ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
ე) შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 9. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
2. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან ბიულეტენებს.
3. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;
გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;
დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
4. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ე) ფაკულტეტის კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 10. არჩევნების შედეგების გამოცხადება

საფაკულტეტო საარჩევნო კომისიები არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს დასამტკიცებლად გადასცემს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, რომელიც იმავე დღეს აცხადებს არჩევნების შედეგებს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების ოქმი.

მუხლი 11. არჩევნების მეორე ტური

1. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტედენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად 3 დღეში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

მუხლი 12. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიების წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.
2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 13. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი ოქმით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.